ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9723039001**

თარიღი:**08/02/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის ოქმი N-01

დ. ლენტეხი. 31 იანვარი/2023წ

მიმდინარე წლის 31 იანვარს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 3 (სამი)წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერის პირველი მოადგილე მარადი ლიპარტელიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩახქსელიანი და დამხამარე სპეციალისტი ანა მუკბანიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

/თანამომხსენებელი საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

თანამომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

/თანამომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

5.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

6.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

7.სოფ. ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა-ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.

/ მომხსენებელი მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი.

/თანამომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

8.მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

9.მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი/

10.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

11. სხვადასხვა.

„

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: მერიის სოციალური დაცვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური

დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა აღნიშნული წესის ყველა მუხლი. აღნიშნა, რომ იყო შენიშვნა და ეს შენიშვნა გათვალისწინებული იქნა. კერძოდ მრავალშვილიან ოჯახებად ჩაიწერა ოჯახები, სადაც არის 18 წლამდე ასაკის სამი შვილი.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ერთჯერადად 100 ლარის გაცემას. აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო ძალიან ბევრი მსჯელობა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დარჩა ეს დახმარება. მაგრამ აუცილებელი იქნება დიაგნოსტიკური კვლევა თანდართული ფორმა 100-ით.

სხდომის წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სოციალური დახმარების გაცემის წესი ნამდვილად მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ.

2.მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა: რომ მერიაში შემოვიდა განცხადება, რომელზეც ხელს აწერენ რამდენიმე პიროვნება. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ბესიკ ონიანი. განცხადების მიხედვით ისინი აფიქსირებენ თხოვნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადება თანდართული მასალებით დაეწერა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას. კომისიამ დადო დასკვნა - იმის თანხმობაზე, რომ აღნიშნულ მწვერვალს მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელი.

სხდომის წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს აღნიშნულ განკარგულებას.

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30″ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03′′ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელი.

3. მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტები:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუდმივად იყო შენიშვნები ამ ორი სამსახურის ერთ სტრუქტურაში არსებობის გამო. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეს სხვადასხვა ფუნქციების მქონე სამსახურები ჩამოყალიბდეს ცალცალკე. (სამართლებრივი დასკვნა თან ერთვის)

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა ეს საკითხი განხილული იყო ბიუროს სხდომაზე.

საკითხი შესასწავლად დაეწერათ საკრებულოს კომისიებს და დაიდო დასკვნა, რომ აუცილებელია ამ ორი სამსახურის ცალცალკე ჩამოყალიბება.

საკრებულოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს სამსახურების ფუნქციებზე. კითხვები დაუსვეს მომხსენებელს. მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილებები დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -2

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტები - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

5. მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - .,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით გასწორდა თანამდებობრივი სარგოები. კერძოდ მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტებს მივუყენეთ ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის N-2 დანართის N-2 ცხრილით მე-7 კატეგორია და სახელფასო სარგო იქნება 1452 ლარი, ხოლო განყოფილების უფროსებს მე-6 კატეგორია, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო დაანგარიშებული იქნა სახელფასო კოეფიციენტის მე-8 კატეგორიით.

სახელფასო კოეფიციენტების სხვადასხვა კატეგორიების გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ერთი და იგივე კატეგორიაში კოეფიციენტის გამოყენება რამდენიმე პოზიციაზე (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი) იწვევს ხელფასების 10% მომატების ნაცვლად ხელფასების მნიშვნელოვნად კლებას, რაც ეწინააღმდეგება მთავრობის განკარგულებას ხელფასების მომატების თაობაზე.

ამავე დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურში ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე იხსნება ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

6. მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - .,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა

ღია კენჭისყრით:

მომხრე -1 8

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში.

7. მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევანი ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი ,,სოფელ ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე“.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას - ,,სოფელ ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტი“.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა კახა ლიპარტელიანმა - ანალოგიური პრობლემა არის მაზაშში ღელეს სახით და ეს პრობლემა წლებია არ იქნა გათვალისწინებული.

პასუხად მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება ეს პრობლემაც გათვალისწინებული და უახლოეს პერიოდში მოგვარებული.

8. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს.

მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული - მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და ანგარიში შეფასდეს დადებითად.

9.მოისმინეს: მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში - მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს.

მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და

სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და ანგარიში შეფასდეს დადებითად.

10. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეების სამუშაო გეგმების საფუძველზე მომზადდა საკრებულოს სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა დამტკიცდეს დღეს.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დამტკიცდეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმა.

11. სხვადასხვა.

1. საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ შემოსულია მერის წინადადება - სოფ. ნანარში ხანძრისგან დაზარალებულ იზოლდა ლიპარტელიანის ოჯახს დასახმარებლად სარეზერვო თანხიდან გამოიყოს 2000(ორი ათასი) ლარი.

სხდომის წევრებმა დაზარალებული ოჯახის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება - მიეცეს თანხმობა მერს წინადადებაზე სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 2000 ლარი ხანძრისგან დაზარალებული ოჯახის დასახმარებლად.

2. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის გაცემის შესახებ.

შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

სხდომის ბოლოს გიორგი გაზდელიანმა დასვა საკითხი სააქტო დარბაზის მოწყობაზე და შესაბამისი ინვენტარის შეძენაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დამთავრდა 12 საათსა და 20 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი